# სასოფლო გაზეთი

**გაზეთის ფასი:**

| ...აგზავნით ტფილისში ...ა გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელათ: მან. |
|---|---|---|
| ...რთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ...ახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| ...ამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. მებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 28. სამშაბათი. I. 10 სეკტემბერს 1868 წ.


## განცხადება

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ სოფლის სასა-...ართლოებს, რომელთაც ფული არ შემოუ-...ტანიათ ამ წლის „სასოფლო გაზეთის“ ფასი, ...ალე წარადგინონ უეზდის ნაჩალნიკთან, რომ ...მან, სადაც რიგია, იქ გამოგზავნოს. წლის ...ფასი ხომ ყველამ იცის, ე ქ ვ ს ი მანეთია.

**შინაარსი:** სასოფლო მოხელეების ამორ-...ჩევა.—მოძღვრება.—სღმრთო ისტორია.—სა-...ოჯახო ცნობები.—თამბაქოს მოქმედება კა-...ცის სხეულზე.—მრავალგვარი ამბები.—სასო-...ფლო გაზეთის გამოცემაზე განცხადება და ...ამის პროგრამმა.

### სოფლის მოხელეების ამორჩევა.

როგორც გუბერნატორის მოწერილობა ...იყო, ამ ხანებში მოხელეების ამორჩევა უნდა მოხდეს და ვგონებ ამ ენკენისთვეშივე გათა-...ვდეს. წასულ კვირას ტფილისის უეზდის ნაჩალნი-...კის ჩინოვნიკი გავიდა ამორჩევის მოხდენისათვის.

სოფლის მოხელეების ამორჩევაზე ჩვენ მოვილაპარაკეთ მაისის თვეში და ვთხოვეთ ჩვენ სოფლის კაცებსა, რომ კიდევაც გადიკი-თხონ „ო რ ი ო დ ე  ს ი ტ ყ ვ ა  ს ო ფ ლ ი ს  ა ხ ა ლ  მ ო ხ ე ლ ე ე ბ ი ს  ა მ ო რ ჩ ე ვ ა ზ ე“. ეს იყო დაბეჭდილი გაზეთის სამ წინა ნომერში მაისის 14-სა, 21-სა და 28-სა. რაც მაშინ გვითქვამს იმას ველარაფერს ვერ მოუმატებთ: მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ კარგა მოფიქრება, კაი სვინიდისიანათ ამორჩევა უნდა. ყოველმა გლეხმა უნდა იცო-დეს, რომ თუ იმის ამორჩეული კაცი ცუდი მოხელე გამოდგა, ეს იმისი ბრალია, რასაც უკანონობას უსამართლობას და უსვინიდი-სობას მოხელე იზამს, ამაში ყველაფერში ამ უსამართლოებაშიაც და უსვინიდისობაშიაც მოხელე კაცის ამომრჩეველსა აქვს წილდე-ბულობა, ამიტომ, რომ იმისი ამორჩევით და-უყენებიათ ისეთი კაცი. ბრალი სოფელს დაე-დება, თუ მოხელე რიგიანი არ გამოვიდა.

მანამ ამორჩევამდინ რაც დროა, ყველამ სვინიდისიანათ უნდა იფიქროს კარგათ ასწო-ნოს ყველა, ვისაც კი მოხელეთ დაყენება უნ-და. პირფერობა, მიმხრობა მალე გამოუსადეგი გახდება, სავაგლახოს საქმეს ნუ გავიხდით და თვალი გავახილოთ, რომ ღარიბის შემწე და კეთილი გულის კაცები ამოვირჩიოთ, თავი დავანებოთ ხარბ, თვალ-გაუმაძღარ კაცებს. ოღონდაც ღარიბისა და ობლის შემწე იყოს ვინმე, ხარბი და აბეზარი არ იყოს, ჭკვიანი და გამჭრიახე იყოს და არა უშავსრა, თუ ღა-რიბი იქნება. სიტყვა კაი კაცობაა, კაიკაცობას სიმდიდრე ვერ დაედრება. ნურც წლოვანობას უყურებთ, რომ არ იქნება, თუ ბებერი არ იყოსო. სიბერე კარგია, მაგრამ ხშირათ ყმა-წვილი კაცი ჭკუითა და კაი კაცობით ბევრ-ჯერა სჯობია ბერიკაცსა.

სიფრთხილე და სვინიდისიანობაა საჭირო მოხელეების ამორჩევაში. დაუდევრობა, ზან-ტობა, ერთმანეთზე საქმის მიგდება არ შეი-ძლება. არ უნდა ვთქვათ, რომ ეჰ მე არა მცალიან, ვინც უნდა ამოირჩიონო. მერე რომ საქმე გაგვიჩნდეს და სანანური გაგვიხ-დეს, ცხვირში ვიცეთ, რომ რატომ მეც არ გავერიე ამ მოხელის ამორჩევაში. საქმე ის არის, რომ ყველა ხომ დღესვე არ იქნება, ხვალისთვისაც უნდა ვიფიქროთ.

კიდევ ვიტყვით სიფრთხილე, სვინიდისია-ნობა და საქმის დადევნება, ამორჩევის საქმე-ზე მუყაითობა. თორემ სანანური და სავაგლა-ხო გაგვიხდება საქმე. კარგათ დავიხსომოთ, რომ თუ სოფლის მოხელეებში უსამართლობა, მოქრთამობა და უსვინიდისობა მოხდა რამე. ცოდვა სოფლის ხალხს დაედება კისერზე.

### მოძღვრება.

(თქმული რაჭის უეზდის, სოფლის სორის ეკლესიასა შინა ით-ს ივლისს ჩყჲჱ-ს წელსა, გაბრიელ, იმერეთის ეპისკოპოსისა მიერ.

**ძმანო ქრისტიანენო!**

თუმცა მე არა ერთგზის მიწირავს ამთქ-ვენს ძველ ეკკლესიაში, გარნა მოძღვრება და დარიგება ჯერეთ ერთხელაც არ მომიცია თქ-ვენთვის, ვითარცა სხვათა სოფლის ეკკლესი-ათა შინა, ჩვეულებისა და მოვალეობისა მე-ბრ ჩვენისა. ეს მოხდა მისთვის, რომელ წირ-ვა ჩვენი აქა ყოველთვის დაემთხვია უბრალო, სანიადაგო, დღეებში, როდესაც თქვენ იყავით მუშაობაში და მოსვლა საყდარში არ გცა-ლოდათ. თუმცა დღესაც უბრალო დღე არის, მაგრამ დღეს მე განგებ დაგიბარე თქვენ წი-რვის მოსასმენად, რადგანაც მსურდა დღეს მა-

ინც გადამეხადა ჩემი ვალი თქვენ წინაშე. მე ვალი მმართებს თქვენი: ჩემი ვალი ის არის, რომ გასწავლო, დაგარიგო სჯულში და ქრისტიანობაში; თუ ეს ვალი არ გადვიხადე, მეშინია ღმერთმან არ მომკითხოს ოდესმე. ახლა, პირველად, მადლობას გეტყვი, რომ ისმინეთ ჩემი დაბარება და მოხვედით აქ. ნუ ნანობთ ერთი საათის, ანუ საათნახევრის მოცდენას მუშაობისაგან. მუშაობა ყოველ დღე შეგიძლიათ; გარნა მღვდელ-მთავრის წირვის და დარიგების მოსმენა არა ყოველ დღე შეგიძლიათ. მარტო მუცლისათვის არ უნდა ზრუნავდეს კაცი; სულსაც უნდა მისი საზრდო; სულის საზრდო არის სწავლა, ნუგეში, განათლება; თუ გულს მოდგინედ ისმენთ დღევანდელს სწავლასა და დარიგებას, იმედი მაქვს არ ინანებთ, რომ მოხვედით ეკკლესიაში. გარნა რა საგანზედ მოგცე მე დღეს თქვენ დარიგება? ამას გადაგიწყვეტს დღეს წაკითხული სახარება.

ვინც ყურადღებით ისმინა დღევანდელი წირვაზე წაკითხული სახარება, მას უთუოთ ახსოვს მოკლე მოთხრობა უნაყოფო ლეღვის ხეზე. ერთხელ, როდესაც უფალი იესო ქრისტე მიდიოდა გზაზე და მოემშია, დაინახა, მახლობლად ერთი ლეღვის ხე, რომელიც იყო მწვანე, ფურცელოვანი და მშვენიერი; უფალი მივიდა, მასთან სუროდა იმის ნაყოფისა ჭამა, გარნა ნახა, რომ არცა ერთი ნაყოფი არ ება იმ ხეს; ეწყინა ეს უფალსა იესო ქრისტეს და დაწყევლა ხე იგი. მეორე დღეს, როდესაც უფალი მობრუნდა იერუსალიმიდგან, მოწაფეთა მისთა შეხედეს, რომ ხე იგი იყო გამხმარი; გაუკვირდათ და შეეშინდათ მათ ამ ამბავისაგან. ეს მოკლე მოთხრობა, ძმანო ჩემნო, ჩვენთვის დაიწერა სახარებაში, სამოძღვრებელად და სასწავლებელად ჩვენდა. რას გვასწავლის ჩვენ ეს მოთხრობა? გვასწავლის ამას: თუ კი უფალმან ხე დასაჯა უნაყოფოებისთვის, არა უმეტესად დასჯის კაცსა, თუ უნაყოფო იქმნება იგი? ხეს არა აქვს ჭკუა და გრძნობა. არ იცის, რასა იქმს; გარნა მაინც არ მოითმინა ღმერთმან, და დასწყევლა იგი, რადგანაც უნაყოფო იყო; კაცს აქვს ჭკუა, აქვს სჯული, კაცს შეუძლია გაარჩიოს კარგი და ავი; მაშასადამე კაცს უმეტესად დასჯის ღმერთი, თუ ნაყოფი არ გამოიღო. რა ნაყოფი უნდა გამოიღოს კაცმან? ნაყოფი კაცისა არის ყოველი კეთილი, მართალი და პატიოსანი საქმე, რომელსაცა იგი იქმს ამ ქვეყანაში. მონათლული ქრისტიანე კაცის ნაყოფი ის იქმნება, როდესაც იგი ასრულებს იესო ქრისტეს მცნებასა, სახარების სწავლასა შეძლებისა გვარად მისისა. მართალია, ერთ ნაირი და ერთი ზომის ნაყოფი არ შეუძლიან გამოიღონ ყოველთა ქრისტიანეთა! როგორათაც ხეხილებში არის დიდი განსხვავება, ზოგიერთი ხეხილი გამოიღებს უფრო ძვირფასს და ტკბილს ნაყოფს, სხვა უფრო დაბალს და უბრალოს, ეგრეთვე ქრისტიანეთა შორის; ზოგიერთმა ქრისტიანემ დიდი ნაყოფი უნდა გამოიღოს, და ზოგიერთმა მცირე, გარნა უნაყოფო კი არც ერთი ქრისტიანე არ უნდა დარჩეს. საღმრთო წერილში არის თქმული, რომელ ვისაც ღმერთმან მეტი მისცა, მისგან მეტს მოითხოვს. ვისაც ღმერთმან მიანიჭა დიდი სიმდიდრე, ანუ სწავლა, ანუ ნიჭიერება, მათ უნდა ეცადონ და უდიდესი ნაყოფი გამოიღონ ღვთის წინაშე: გარნა ვისაც ესენი ნაკლებათ აქვს, არც მათ უნდა იფიქრონ, რომ მათგან კი ღმერთი არ მოითხოვს ნაყოფს. მე რომ ღმერთმა თქვენზე მეტი მომცა შეძლება, სწავლა, ნიჭი ჩემთვის დიდი ცოდვა იქმნება, რომ თქვენზედ დიდი ნაყოფი არ მივართვა ღმერთსა; გარნა არც თქვენ უნდა იყოთ ღვთის წინაშე უნაყოფო. თუ ვინმე თქვენგანმან ესრეთ იფიქრა თავის გულში: რა ნაყოფი შემიძლია მე მივართვა ღმერთს! მე ვარ ერთი ღარიბი, საწყალი გლეხი, დღე და ღამე ვმუშაობ და ძლივ ჩემ თავს და ცოლშვილს ვარჩენ და გარდასახადს ვიხდი, სხვა რა შემიძლია, რომ კეთილი რამე ვქნა? თუ ესრეთ ვინმე იფიქრა ის შემცდარი არის. რადგანაც შენ ძმაო ხარ ერთი საწყალი ღარიბი გლეხი კაცი შენგნით ისიც საკმაო ნაყოფი იქმნება, თუ კარგად და გულ-მოდგინედ ასრულებ ყოველსა საგლეხო საქმესა. თუ ბეჯითად მუშაობ და მადლობ ღმერთსა, თუ მეცადინე კაცი ხარ და შენს ცოლშვილს კარგად ინახავ, თუ გარდასახადს და სამსახურს, ვისიც, ანუ რაც გმართებს, კარგი გულით იხდი და ასრულებ, თუ მეზობლობაში არა ვის არ აწუხებ და კიდეც რაც შეგიძლია გაჭირვებულ კაცს შეეწევი და ხელს მოუწყობ, ესეც კარგი ნაყოფი იქმნება შენგნით; ამითაც დაკმაყოფილდება ღმერთი. ბოლოს რაც გინდა საწყალი და ღარიბი კაცი იყო ერთი საქმე მაინც ყოველთვის შეგიძლია, რომელიც თითქმის უდიდესია ყოველთა სხვათა საქმეთა და უფრო იამება ღმერთს და რომელსაც ღმერთი ყოვლის კაცისაგან მოითხოვს; ესე იგი დიდისა და მცირისა შეძლებულისა და შეუძლებელისაგან. რომელი არის ეს საქმე? ისე ძმაო, ჩემო, რომ შენი სული და გული დაიცევი ცოდვისაგან; შენი სული და გული შეინახე და მიართვი ღმერთსა; თუ სხვა არაფერი შეგიძლია, ეს მაინც ქენი: შენი სული არ დაუკარგო შენსა შემოქმედსა, არ გაიფუჭო სული და გული ისრე რომ ღვთისათვის დაკარგული იყოს იგი. ეს ადვილად შეგიძლია: თვით ის შენი სისაწყლე და სიღარიბე, რომელიც შენ გაწუხებს არა თუ არ დაგიშლის, კიდეც შეგეწევა ამ საქმეში. თუ სულგრძელად მოითმენ შენს სისაწყლეს, თუ არ დღონდები, მხნედ იქმნები, ითმენ ღვთის გულისათვის ყოველს ვიწროებას, სასოება არ მოგაკლდა, იცოდე რომ დიდი ნაყოფი იქმნება შენგნით ღვთის წინაშე და მარტო ამით ცხონდები, რომელიც და მოგვცეს ჩვენ ყოველთა ღმერთმან

ამინ.

---

## საღმრთო ისტორია.

### 23. ეგვიპტიდგან ესრაელთ გამოსვლა.

ბოლოს უფალმა უთხრა მოსეს: „ერთ სასჯელსაც ვაწვევ ეგვიპტეს, და მაშინ ფარაონი არა თუ გაგიშვებსთ თქვენ, არამედ ძალიან განგდევნის, თავის ქვეყნიდგან. მე შევმუსრავ მთელს ეგვიპტეში ყველა პირმშო (უფროსსა) შვილსა, ფარაონის პირმშო შვილისაგან მოყოლებული იმის მონისა და ყველა ეგვიპტის პირუტყვთა პირმშო შვილამდე“. მაშინ ესრაელთ ბრძანება მიეცა უფლისაგან, რომ საგზაოდ მომზადებულიყვნენ და ეგვიპტიდგან გასვლის წინა ღამეს დაეკლათ ერთი წლის ბატკანი და ხმიადით (გაუღვივარი პურით) ეჭამათ იგი: „უნდა სჭამოთ თქვენ იგი ამ გვარად:—უთხრა მათ ღმერთმა—წელზედ შემორტყმული უნდა გქონდესთ სარტყელი, ფეხებზედ გეცვასთ წაღები, და ხელშიაც ყავარჯანი გეჭიროსთ, ხოლო უნდა სჭამოთ ფრთხილად რამე, თუ იგი არს პასე-

ქი უფლისა. ხოლო სისხლი კრავისა თქვენს სახლებზედ უნდა სცხოთ, რათა იყოს ნიშნად, რომ არ გეწამოსთ სასჯელი, რომელი მე განმიმზადებია ეგვიპტის ქვეყნისათვის“.

როდესაც დანიშნულმა დრომ მოახწია, ყველა ესრაელთ სამგზავროდ მზადება დაიწყეს. შუაღამისას მოევლინა ეგვიპტეს შემმუსრავი ანგელოზი და ერთი სახლიც აღარ იპოვებოდა ისეთი, რომ მკვდარი არა ყოფილიყო. მაშინ მთელმა ეგვიპტემ მორთო ტირილი და გოდება; თვით ფარაონსა და იმის სახლობას შიშის ზარი დაეცათ. ჯერ ისევ ღამე იყო, როცა იმან მოსეს და არონს მიუწოდა თავისთან და უთხრა: „წარვედით მსწრაფლად თქვენი შვილებითურთ და პირუტყვით.“ აგრეთვე ეგვიპტელნიც ცდილობდნენ მათს გაცილებას და ეუბნებოდნენ: „წადით ჩქარა, თუ არა თქვენის გულისთვის ჩვენც დავიხოცებითო“. ამ გვარად ესრაელნი გამოვიდნენ იმ ქვეყნიდგან, სადაც ხანგრძლივ იყვნენ დატყვევებულნი, და გამოიტანეს თან მრავალი ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი და ტანისამოსი. გამოსვლის დროს ისე დაეშურნენ, რომ ველარ მოასწრეს ცომის გაღვივება და გაუღვივარი წაიღეს თან. მაგრამ რა წამს გაიგო ფარაონმა ესრაელთ ეგვიპტედგან გასვლა, დაიწყო სინანული და სწუხდა, რომ წასვლის ნება დართო ესრაელთ. მაშინ იმან სწრაფად მოაგროვა ჯარი და გამოუდგა, რომ უკანვე დაებრუნებინა ისინი. ფარაონი დაეწია იმათ მაღალსა და წითელ ზღვას შუა, სადაც ესრაელთ დასასვენებლად დაებანაკათ. ესრაელთ რომ დაინახეს ეგვიპტელთ ჯარი, ძალიან შეშინდნენ; მაგრამ მოსემ დაამშვიდა ისინი და უთხრა: „ნუ გეშინისთ, უფალი ეხლაც დაგიფარავსთ თქვენ! გარნა იყავით ჩუმად“. მაგრამ იმათი გარემოება მართლა რომ საშინელი იყო: წინ ედოთ იმათ ზღვა და უკან ეგვიპტელთ მხედართ რაზმები! მაშინ ღმერთმა უთხრა მოსეს: „რასათვის ჰღაღადებ ჩემდამო! უთხრა ძეთა ესრაელთასა, რომ მათ განაგრძონ გზა თვისი.. აწ შეიტყობენ ყოველნი ეგვიპტელნი, რამეთუ მე ვარ ღმერთი და ვიდიდები ფარაონის მიერ და მისთა ეტლთა და ცხენთა მიერ“. მაშინ ღმერთმა უბრძანა მოსეს, რომ ზღვაზედ დაერტყა თავისი კვერთხი; მანაც აღასრულა, და მაშინ ასტყდა საშინელი ქარი, ზღვა ორად განაპო და ზღვის ძირი გააშრო. ნათელი სვეტი რომ უძღოდათ იმათ წინ, ახლა მოექცა იმათ უკან და ამან ისე დააბნელა ესრაელთ მოქმედება ეგვიპტელთ თვალთათვის, რომ ამათ არ იცოდნენ თუ რა ხდებოდა ებრაელებში. შუა ღამე იყო როდესაც შვილნი ესრაელისანი ზღვის ძირის შუა ალაგას მივიდნენ; იმათ მარჯვნივ და მარცხნივ ჰქონდათ წყალი კედლებსავით. გათენება რომ დაიწყო, ფარაონი თავის ჯარებით უკან დაედევნა და ზღვაში შევიდა, მაგრამ უფალმა შეჰკრა ფარაონის ეტლების ღერძები და ამის გამო ისინი ძალიან გაჭირვებით და ძნელად მიდიოდნენ წინ. მაშინ უკან დაბრუნება მოისურვეს იმათ. „გავექცეთ ესრაელთ!—ამბობდნენ ეგვიპტელნი—ვინაიდგან უფალი ჰყავთ მათ შემწედ და ჩვენ წინააღმდეგაცა იგი არის“. ამასობაში ესრაელნი მეორე ნაპირას გავიდნენ და ეგვიპტელნი კი ჯერ შუაზედაც ძლივს იყვნენ მისულნი. მაშინ უფალმა უთხრა მოსეს: „გაიწოდე ხელი შენი ზღვასა ზედა!—მოსემაც გაიწოდა და ზღვა მაშინვე შეერთდა! ამაოდ ლა ებრძოდნენ ეგვიპტელნი ზღვის ზვირთებს! ვერც ერთმა ველარ დაიხსნა თავი და ყველანი დაიღუპნენ.

## 24. ესრაელნი უდაბნოში.

წითელ ზღვას რომ გავიდნენ ესრაელნი, ერთ უდაბურ დიდ მინდორს დაადგნენ; გარეშემო ისინი ვერც ერთ მოხნულ ალაგს ვერ ჰხედავდნენ და არც თუ სადმე იყო სავსე წყლიანი მდინარე; გარეშემო რამდენსამე ვერსტზედ იყო მხოლოდ უნაყოფო ქვიშა; წყარო არსად ჰსჩანდა, არც თუ სადმე ბალახი და არც თუ ადამიანის მყოფობა ეტყობოდა სადმე: არსად იყო ბილიკი და არც კაცის საცხოვრებელი რამე. ზღვაში გასვლას შემდეგ რომ სამი დღე გავიდა, მაშინ ესრაელთ ძლივს იპოვნეს ერთი წყარო, ისიც ისეთი მწარე—წყლიანი, რომ იმის დალევა სრულებით არ შეიძლებოდა. მაშინ ხალხმა დრტვინვა (უმადურობა) დაუწყო. მაგრამ მოსე ღმერთს შევედრა და უფალმა უჩვენა იმას ერთი ხე, რომელიც მოსემ ჩაჰდვა იმ წყალში და წყალი მაშინვე დასტკბა და სასმელად ვარგისი შეიქმნა. მაშინ, უფალმა უთხრა თავის ხალხს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელი განგკურნებ შენ“.

ამას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ხალხმა ისევ დრტვინვა დაიწყო, რადგან იმას არც პური ჰქონდა და არც ხორცი. მაშინ ღმერთმა გაუგზავნა მას მრავალი მწყერი და მეორე დილას რაღაცა წვრილი, ფეტვის ტოლა, თეთრი საჭმელი, რომელიც თრთვილსავით ედო დედამიწას.—„ეს რა არის?—ჰკითხავდნენ ერთმანერთს გაკვირვებული ესრაელნი. მოსემ უპასუხა მათ: ეს არის პური, რომელი ღმერთმა მოგცათ თქვენ საჭმელად, და რადგან ებრაულად „რა არის“ ითქმის „მ ა ნ“, ამისთვის ამ საჭმელს დაერქო სახელად „მანანა“. ეს მანანა იყო წვრილი, რგვალი მარცვლები, თაფლივით ტკბილი, გემრიელი და საუკეთესო ფქვილივით ნოყიერი.

მაგრამ წყლის შოვნა ისევ განუძნელდათ. კიდევ დრტვინვა დაიწყეს. მოსემ კვალად შეჰვედრა ღმერთს შემწეობაზედ და უფალმაც უთხრა: „აიღე კვერთხი შენი და დაარტყი კლდესა“. მოსემაც დაარტყა თავის კვერთხი კლდეს და კლდიდგან გადმოდინდა წყალი.

შემდეგ ესრაელთ დაეცნენ ამალიკიტელნი (ხალხი იყო). მოსემ გაგზავნა იმათზე ისუსნავე, თითონ კი მთაზე ავიდა და ხელნი ზეცას აღახვნა. ვიდრე მოსეს ხელები ზევით ეჭირა, მანამ ესრაელნი იმარჯვებდნენ, და როცა კი მოსე ხელებს ჩამოიღებდა, მაშინ კი ამალიკელნი იმარჯვებდნენ.მაშინ არონმა და ურომ დაუჭირეს მოსეს დაღლილი ხელები და მზის ჩასვლამდის მოსე ისე იდგა. მაშინ ესრაელმა გაიმარჯვა და ამილიკე იძულებულიყო უკუქცეულიყო.

ამ გვარად ესრაელნი მიდიოდნენ გზას და ხელმძღვანელად ჰყავნდათ თვით ღმერთი. ნათელი სვეტი, რომელიც წითელ ზღვაში გასვლის დროს განუნათლებდა იმათ, ეხლაც წინ მიუძღოდა: დღისით ნათელი ღრუბლის მსგავსად და ღამე—ცეცხლის ალის მსგავსათ.

## 25. სჯულის დადება.

ეგვიპტედგან გამოსვლის შემდეგ რომ ორი თვე გავიდა, ესრაელნი სინაის მთასთან მოვიდნენ, რადგან აქ მშვენიერი ნაყოფიერი ველები იყო, ამის გამო დაჰყვეს აქ მთელი წელიწადი. ეს წელიწადი შესანიშნავია არათუ მხოლოდ ესრაელთათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვისაც. იქ მოახდინეს ხალხის აღრიცხვა და განაახლეს იმის ჩამომავლობა და გვარებად გაყოფა; დააყენეს ათასის თავები, ასის თავები და ათის თავები; მაგრამ ეს წელიწადი ყველაზე უფრო შესანიშნავია იმი-

ტომ რომ აქ ღმერთმა მისცა ისრაელთ სჯული, რომელშიაც განსაზღვრა კაცის ვალი ღვთისადმი და მოყვრისადმი.

დადგეს თუარა ისრაელთ თავიანთი კარვები სინაის მთის მახლობლად, მოსე ღვთის ბძანებით ავიდა იმ მთაზედ. იქ ღმერთმა უთხრა მას: „მოამზადე ხალხი, ვინაიდგან მესამეს დღეს გამოვა უფალი სინაის მთაზედ; დააყენე ხალხი მთის გარეშემო, მაგრამ არავინ არ გაჰბედოს იმაზედ ასვლა, ანუ მის ახლოს მიკარება; ვინაიდგან ვინც მიეკარება მას, სიკვდილით მოკვდება.

მესამე დღე რომ დადგა, ბნელმა ღრუბელმა დაჰფარა სინაის მთა; დაიწყო ქუხილი, ელვა და მოისმა საყვირის ხმა. მთელ მთას ბოლი აჰდიოდა და საყვირის ხმა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მოსე იდგა მთაზედ წინაშე ღვთისა, ხოლო მკრთალი ხალხი სადღესასწაულო ტანისამოსით გარეშემორტყმოდა მთას. მაშინ უფალი იტყოდა სიტყვათა ამათ:

„მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არა იყვნენ შენდა ღმერთნი ჩემსა გარეშე. არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა, არა თაყვანიჰსცე მათ და არცა მსახურებდე მათ. არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოდ. მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვსსა დღესა იქმოდე, და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი; ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა. არა კაც-კლა. არა იმრუშო. არა იპარო. არა ცილისწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა. არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისასა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მხევლისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.„ (გამოსვ. 20 თავი, ა—იზ მუხ).

ამ სიტყვებს მთელი ხალხი ისმენდა, მაგრამ შიშით, რადგან ღმერთი გამოეცხადა მათ ელვასა და ჭექა-ქუხილში, და უთხრეს მოსეს: „შენ ელაპარაკე, რომ ჩვენ არ გველაპარაკოს ღმერთი; თორემ ჩვენ დავიხოცებით. რასაც შენ გეტყვის უფალი, ყოველსავე აღვასრულებთ!“ ხოლო უფალმა წინადვე უთხრა მოსეს: „თუ შეისმინეს ხმა ჩემი და დაიმარხეს მცნებანი ესე ჩემნი, მექმნებიან მე ყველა ხალხთაგან აღრჩეულ ხალხად!“

მაშინ მოსე ავიდა მარტო მთაზედ და დაჰყო იქ ორმოცი დღე და ღამე. ამ დროს ღმერთმა მისცა მას ორი ქვის ფიცარი სჯულისა, რომელზედაც იყვნენ დაწერილნი ღვთის მცნებანი. როდესაც მოსე ჩამოვიდა მთიდგან და მოჰქონდა თან სჯულის ფიცრები, მაშინ—მიახლოვედა თუარა ისრაელთ ბინას—იმან დაინახა; რომ ისრაელთ დაედგათ კერპად ოქროს ვერძი და იმას გარეშემო ცეკობდნენ და ლხინობდნენ საკრავებითა და სიმღერით.

---

## საოჯახო ცნობები.

### ნემეცური მძეხვი კნაკურსტ.

მოიღეთ ღორის ხორცი, ძარღვები არა ჰქონდეს, დასჭერით წვრილად, უყავით ცოტა ღორის ქონი წვრილად დაჭრილი, მარილი, პილპილი, მიხაკი მოაყარეთ და გატენეთ წელები.

### ბოლონიის მძეხვები.

დასჭერით ძალიან წვრილად ღორის ქონი და ხორცი ხარისა, ანუ ძროხისა, სუკები ან რბილი ბარკლები· ღორის ქონი და ის ხორცი ერთი წონა უნდა იყვნენ, ქონი ღორისა ჩააწყეთ წყალში. რომ გაფუვდეს, ქონი და ხორცი აურიეთ უყავით პილპილი, დანაყილი მიხაკი, მარილი და ცოტა ცხვრის სისხლი. გატენეთ ამით წელები.

### სხვა და სხვა თეთრეულობისათვის.

### დიდხანს რძის შენახვა.

მოიღეთ ბოთლები წმინდა მშრალი, სუნი არაფრისა არ უდიოდეს. ჩაასხით ახალი მოწველილი რამე, მაგრამ სამი თითი დააგდეთ ცარიელი, დაუცეთ მაგრა პრობკა.—ქვაბში ჩალა ან თივა გაუშალეთს ჩააწყეთ ბოთლები, დაასხით წყალი ამდენი, რომ ბოთლები დაიფარნენ, წამოადუღეთ კარგა, მერე ქვაბი გადმოდგით და ნელნელა გაცივდეს. უჯრაში ჩალა გაუფინეთ ბოთლებს, ფისი გადააკარით და ცივ ალაგს შეინახეთ. ეს რძე სამ წელიწადს გაჰსძლებს.

### ახაჭოებული რძის გაკეთება.

როცა რძე დამჟავდეს და ახაჭოვდეს, მაშინ უნდა უყოთ პატაში (წმინდა ნაცარ წმული ან მაღნეზია (აფთიაქში ისყიდება), და აურიოთ, მაშინ რძე გათხელდება და გაკეთდება. თითო შტოფს ან ბოთლს ოცი წვეთი პატაში წყალში გამდნარი დაასხით და უმჯობესი ნახევარ ჩაის კოვზი მაღნეზია ჩაჰყარეთ და აურიეთ.

### ერბოს კარაქათ გადაქცევა.

ქვაბში ჩადგით ქილა, წყალი ჩაასხით ქვაბში და ცეცხლზედ შემოდგით, როცა ერბო გადნეს, ცივი წყალი ჩაასხით ბადიაში დ შიგ გამდნარი ერბო ჩაასხით, როცა გაციედეს ამოიღეთ, წმინდა სალფეტკში ჩადევით და სალფეტკი ცივ წყალში ჩადევით ერთი ან ორი საათი. მერე ამოიღეთ სალფეტ და ცივს ალაგს ფიცარზე დადევით და წვრილა დანაყილი ყინული ან თოვლი დააყარეთ სატყეპლით ან სხვა ხით სცემეთ. ამ სიცი საგან კარაქი გაკეთდება უეჭველად, თუ ყინ ვა არის, ყინული იხმარეთ და თოვლი ა იქნება საჭირო.

### ერბოს გადადნობა.

ერბო ქილით ქვაბში ჩადევით წყალი ჩა სხით ქვაბში და ცეცხლზე შემოდგით, ასე გ დნობა სჯობია, ვინემ პირდაპირ ქვაბში.

### წამხდარი და დამწარებული ე ბოს გაკეთება.

თუ ერბო ან დამძაღდა და ან გამწარ მაშინ ერბო დაადნე, როგორც ზევითა ს რია, პურის ქერქი ორსავ პირზედ დაწ და ჩააგდეთ ერბოში. რამდენსამე მინუ ყოველს სიმძაღეს და სიმწარეს პური მიი დავს, შემდეგ ამოიღეთ პური,—ერბო გა დება.

### ლაკოტლინი ანუ ნაღები პარ შოკად.

ახალი მოწველილი რძე ქილაში ჩაასხ ქილა ქვაბში ჩადგით, სადაც წყალი იყოს.— დგით ქვაბი ცეცხლზედ აადუღეთ ამდენი, ვ რძე თაფლსავით შეიქნებოდეს სქელი, მ გადმოიღეთ, ფეჩში გაახმეთ და დანაყეთ. ბ თლში ჩაყარეთ და შეინახეთ. როცა გინდ გინდ წყალში გახსენით, ან არა და ყავის ჩაის დალევის დროს ჩაჰყარეთ სტაქანში ცო ცოტა, აურიეთ და ნაღების რძე იქნება.

### გაკეთება შვეიცარიის ყველ

პატარა ხბოს დერიტა ამოიღეთ გარეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეცხეთ თბილის წყლითა, მერე გაახმეთ და წვრილად დასჭერით, ამ დაჭრილს უყაეით ერთი მუჭა მარილი. ნახევარი ლოტი (მისხალ ნახევარი) სტაქნის მესამედ წყალში გაქნილი ზაფრანა, მოდიდო სტაქანში რძე სამი-დღის მოგებულის ძროხისა, მისხალ ნახევარი, პილპილი, და მისხალ ნახევარი ჯავზი დანაყილი ფილში, ესენი ერთათ ჩაყარეთ ბურთში და შეჰკიდეთ მაღლა, ვინემ მოიხმარებთ. 12 საათის წინ, როცა დერიტა უნდა იხმარონ, (ექვს ვედრო რძესა, ერთი მისხალი დერიტა უნდა), უნდა მჩვარში გაახვიოთ ისა და წყალში დაალბოთ.—რძე უნდა ნელთბილი იყოს. ხის ჯამში დერიტა ჩაყარეთ და რძეში ჩაადგეთ. დააცალეთ ასე, როცა შეიკრას რძე, მაშინ აურიეთ ხის პატარა ნიჩბით ასე რომ მუხუდოს ოდენა შეიქმნას დელამუტი.—მერე ქვაბი შემოდგით ცეცხლზედ ისე გააცხელეთ, რომ ხელი უძლებდეს ჩაყოფას, და ურიეეთ ნელნელა.—როდესაც ასე გაცხელდეს, გადმოდგით ქვაბი, სამს მინუტ შემდგომ ძალიან აურიეთ, რომ უფრო შეერთდეს ყველი.—შემდგონ დააცალეთ ყველს, ვინემ ძირს დაილეკავს; ნახევარ საათს დაილეკავს.—მერე მოაგროვებთ ხელით ოთხ-კუთხიანად ანუ როგორც გინდა, იმ ფორმათ გააკეთებთ ხელითა, და ნახევარ საათს შემდეგ ისევ დაანებებთ თავსა.—ერთ ჩეთვერის საათისას, ჯამში ჩასდებთ და ამ ჯამს თბილ ქვაბში ჩასდგამთ, რომ ჩქარა არ გაცივდეს, ნახევარ საათს შემდგომ ამოიღებთ ჯამით ყველსა, სალფეტკში ჩასდებთ და სალფეტკით ფორმაში, მერე ყველს დაადებთ ქვას, ანუ მძიმეს რასმე ამისთვის რომ შრატი გამოვიდეს ყველისაგან. ნახევარ საათს უკან ყველს გადმოაბრუნებთ, და ყოველ ნახევარ საათს შემდგომ ექვსჯერ გადმოაბრუნეთ.—მერმე ამოიღეთ და დაამარილოთ.—დამარილება ცივს ალაგს უნდა.—ყველს უნდა ცოცხით შეასხუროთ მარილწყალი, რომელიც უნდა იყოს მოსქე, ჯერ ერთი გვერდი, მერე ერთ დღე და ღამეს უკან მეორე გვერდი,—შემდგომ ორ დღეში ერთხელ, მერე სამდღეში ერთხელ ასე უნდა ამარილოთ თითო დღე უმატოთ, ექვსი თვე ისე უნდა ამარილოთ. ვედრო რძიდგან ხუთი გირვანქა ყველი გამოვა.—

ყველი ჩესტერისა (ანგლიური). საღამოს მოწველილი რძე შეინახეთ მეორე დღემდე. დილაზე ნაღები მოხადეთ და რძე ქოთანში გადაასხით, რომელიც იყოს მდუღარე წყალში გამთბარი—შემდგომ დილის მოწველილი რძე ჩაასხით კასრში, სამი წილი რაც ნაღები გამოვა, იმ ნაღებს და რძეს აურევთ ერთათ გაცხელებულ ქოთანში, ასე რომ 22-ს ან 24 გრადუსს რეომერული არ გარდასცილდეს.—ფერის მისაცემათ ტილოში ჩაყარეთ ზაფრანა და ჩაჰკიდეთ.—შემდგომ დერიტა უყაეით, თავს დახურეთ, როცა რძე ყველათ შეერთდეს, ჯერ მალმალ აბრუნეთ, რომ შრატი მოშორდეს, ხელით ამოსჭყლეტთ, ამოიღებთ და ხის ფორმაში ჩასდებთ და ქვეშ დააწყობთ, პატარახანუკან ამოიღებთ ხელით ამოსჭყლეტთ და ფორმაშივე ჩასდებთ, ეს ოთხჯერ აჭყლიტეთ და ფორმაში ჩადევით. მერე ყველი იყვეს ფორმაში 8 ანუ 10 საათი, როცა კარგა გაიწუროს წმინდათ დაფქული მარილი მოაყარეთ, კასრში ჩადევით და მარილწყალში სამი დღე იყოს. მერე ამოიღეთ კარგათ გაწმინდეთ ტილოთი, წაუსვით კარაქი და მარანში შეინახეთ თითქმის ერთ წელიწადს.

### ყველი ანგლიურის სტილტონის გემოსი.

შვეიცარიის ძველი გამხმარი ყველი, მაგრამ წამხდარი არ იყოს, ხრენის საფხეკზედ დაფხიკეთ, გარე კანიცა. დაასხი ზედ კარგი იამაიკის რომი, და პრავანსკის ზეთი ამდენი, რომ ქაშასავით გამოვიდეს ბანკაში, ბანკაში ჩადევით და პირი მაგრა მოჰკარით; ჩვენი ყველიც შეიძლება, მე ვცადე.—

პოლკეზე. სხვა და სხვა ყველი დაფხიკეთ ერთი გირვანქა გამოვიდეს, იმას უყაეით ერთი ჩაის კოვზი, გარჩიცა ხმელი, აურიეთ კარგათ, დაასხით ცოტ-ცოტა ტკბილი ღვინო ნახევარ ბოთლი და აურიეთ ყველი კიდევ დაუმატეთ ერთი რუმკა ან რომი ან მადერა. ამითი გააკეთეთ თხელი ცომი ყველისა, ჩადევით ბანკაში, თავი მოჰკარით და ცივად შეანახეთ.—

კარტოფილის ყველი. მოხარშეთ კარტოფილი, რომელიც ფშხვიერია, კანი შემოაცალეთ და ცომათ მოზილეთ, ასე რომ მურკლები არა ჰქონდეს, მოიღეთ სამი წილი ეს კათტოფილის ცომი და ორი წილი დელამუტი, კარგათ აურიეთ 24-ს გირვანქას ამ ცომს სამი მუჭა მარილი მოაყარეთ. დააფარეთ ტილო და სამი ან ოთხი დღე ისე იყოს,—შემდგომ კიდევ აურიეთ და მოზილეთ და ჩადევით პარკში, ან ყველის ფორმაში. პარკი დადევით პრესის ქვეშ, ან ორ ფიცარს შუა ზევიდგან დიდი ქვები დააწყევით, ყველი გამაგრდება, შემდგომ ამოიღეთ პარკიდგან დადევით ფიცარზედ და თბილათ გქონდეთ შენახული, მზეში კი არ იდვას და რომ არ დასქდეს ყველს უნდა უსოთ ან ნაღები ან რძე. ეს ყველი ხმელს ალაგს უნდა იყოს, ნოტიოსაგან ხდება

### მოხარშული ყველი მაწვნისაგან.

მასსონმა ამბობს, რომ მაწვნისაგან მოხარშული ყველი კარგი არის და ადვილიცაო.—ოცდა ოთხი შტოფი ანუ ბოთლი მაწონი ჩაასხით ქვაბში შემოდგით ნელ ცეცხლზედ ასე, რომ ერთ ზომიერათ თბებოდეს მაწონი 25 მინუტ ან 30-ი ხარშეთ; ყველის ნაწილი შეიკრიბება დახაჭოვებულსავით, და მოშორდება შრატსა, შემდგომ გაწურეთ საცერში და ერთი დღე ისე დაანებეთ თავი, რომ შრატი კარგათ გაიწუროს, ჩადევით უჯრაში დაადეთ სამოცი ფუთი სიმძიმე, ერთ დღე და ღამეს იმ სიმძიმეს ქვეშ თითქმის გამაგრდება.—შემდგომ კიდევ ეს ყველი უნდა დაფშხვნა და ქვაბში ჩაყარო, ცეცხლზედ შემოდგა. ცოტა მომატებული ცეცხლი იყოს და ურიეთ, და როცა გაყვითლდება ეს ყველი,—მოაყარეთ საკმაო მარილი.—ჩადევით ხის ფორმაში, რომელშიაც უნდა იყოს ტილო წყლით დასველებული. როცა გაცივდება ფორმიდგან ამოიღეთ, გრილს ალაგს დადევით, დრო აძლევს უმჯობეს გემოს, რომ უფრო კარგი გამოვიდეს 8 თვე ან 10-ი უნდა იყოს ხელ უხლებელი. და რამდენიც დიდი იქნება ყველი, ესე იგი ორ ფუთიანი, ის ჰსჯობია.—

---

## თამბაქოს მოქმედება კაცის სხეულზე.

კაცმა რომ აილოს რამდენიმე ფოთოლი თამბაქოსა დაფხშვნას და ჩაყლაპოს, ან არა. წყალში ჩაყაროს და იმის წვენი დალიოს, ცოტა ხანს შემდეგ იმას მოუვლის საშინელი სისუსტე და ფეხზე ველარ დადგება; ჯდომაც ველარ შეეძლება და მეტი ღონე არა აქვს, უნდა წამოწვეს, ამისთვის რომ თავბრუ დაესხმება თვალები აერევა და მანჭვა-გრეხასაც მოჰყვება. ამ სახით მოწამლულს კაცს რომ დააკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ ტანზე კანი გაცივებული აქვს, მაჯა დასუსტებული აქვს,

შუბლზე და ტანზე ცივი ოფლი დაასხამს, მძიმეთ სუნთქამს, ახრიალებს, თვალის კაკლები გაუდიდდება, კუჭი ასტკივდება საშინლათ, დააწყებინებს საქმებას წინ და უკან. რასაკვირველია, ამ გვარი ავათმყოფი დიდხან აღარ იცოცხლებს, სახსრები გაუშეშდება და მოკვდება. ახლა ვთქვათ, ბევრი არა, მაგრამ ძალიან ცოტა თამბაქო ჩაყლაპა იმისთანა კაცმა, რომელსაც თავის დღეში თამბაქო არ მოუწევია. რასაკვირველია, იმასაც ეგრეთივე ნიშნები გამოაჩნდება, როგორც ზემოთ მოხსენებულს მოწამლულს გვამს, მაგრამ მოკვლით არ მოჰკლავს; მხოლოდ უწინ რომ ტანის სიმრთელე ჰქონდა, იმისთანა აღარ ექმნება, იმისი ტანი მოიშლება. მორჩენის შემდეგ რომ კიდევ სცადოს იმდენისავე ჩაყლაპვა, რამდენისაც გამოსცადა, უწინდულათვე შეაქცევს და მორჩენის მერმეთ კიდევ უფრო მოეშლება ტანი. ბოლოს თუ ხშირ-ხშირათ იწყო პატარ-პატარა ზომით თამბაქოს ყლაპვა, შესაძლებელია ტანი ისე მიეჩვიოს თამბაქოს მავნებელს თვისებას, რომ აღარც კი გამოაჩნდეს ზემოხსენებული ნიშნები, მაგრამ ტანი კი თანდათან დასუსტდება, დამჭლევდება, ბოლოს დამბლა მოუვა და მოკვდება. ვთქვათ თამბაქო არ შეჭამა, მაგრამ იმის ფოთლები იარაზე დაიდვა, მაშინაც იმ გვარათვე მოიწამლება კაცი, როგორც იმის შეჭმით მაგრამ მოწამლა მაშინვე კი არ გამოაჩნდება, ცოტა ხანს შემდეგ.

როცა კაცი პირველათ დაიწყებს თამბაქოს სწევას, იმასაც ისეთი ნიშნები გამოაჩნდება, თითქოს მოწამლული იყოს; თავბრუ დაესხმება, ფეხებში სისუსტე მოუვლის, თვალის კაკლები გაუფართოვდება, ზოგს კიდეც ასაქმებს და ნერწყვი უხვად დაუწყებს პირიდგან დენას, მაგრამ მალე გაუვლის.

ვინც თამბაქოს სწევას ეჩვევა, თუ იმისთანა ნიშნებს ყურადღებას არ მიაქცევს და დაუწყებს უფრო და უფრო სწევას, რასაკვირველია სხეული მიეჩვევა და ის ზემოთ მოხსენებული ნიშნები აღარ გამოაჩნდება.

აქედამ სჩანს, რომ თამბაქო მოქმედებს კაცის სხეულზე, როგორც საშინელი საწამლავი. ამის მიზეზი ის არის, რომ თამბაქოში ურევია ერთი საწამლავი ნივთიერება, რომელსაც სწავლულები ეძახიან ნ ი კ ო ტ ი ნ ს ა. ეს სახელი წარმოსდგა ლათინურათ თამბაქოს სახელიდგან. ლათინურათ თამბაქოს დაერქვა ნ ი კ ო ტ ი ნ ი ფრანცუზის ელჩის ნ ი კ ო ს სახელისგან, რომელიც იყო ელჩათ პორტუგალიაში მეთექვსმეტე საუკუნეში და იმან პირველად წარუდგინა ეს მცენარე ფრანციის კაროლევას ეკატერინე მედიჩის. ჟ ა კ-ნ ი კ ო ს ეშოვნა ეს მცენარე პორტუგალიელ ვაჭრებისაგან, რომელთაც მოეტანათ ა მ ე რ ი კ ი დ გ ა ნ. ეკატერინე მედიჩიმ და იმისმა შვილმა კარლოს მეცხრემ დაიწყეს სწევა და ამას შემდეგ იმისი სწევა გავრცელდა ფრანციაში და მერე მთელს ევროპაში.

ამ სახით საწამლავსავით თამბაქოს მოქმედება დამოკიდებულია იმასში მყოფ ნ ი კ ო ტ ი ნ ზ ე. შეიძლება კაცმა გამოაცალოს ეს საშინელი შხამი თამბაქოსა. წმინდა ნიკოტინისთანა მძლავრი საწამლავი აქამდის არა იციან რა ქვეყანაზე. ამ საწამლავის ერთი წვეთი რომ ჩაესხას პირში ძაღლს, კატას და ფრინველს, რამოდენისამე წამის განმავლობაში მოჰკლავს. კაცზედაც ასე მძლავრათ მოქმედებს ნ ი კ ო ტ ი ნ ი. კაცს ორი წვეთი მოჰკლავს.

ერთი სიტყვით საწამლავებს შორის ნიკოტინი უპირველესია თავისის სწრაფი მოქმედებითა. და დოქტორი ილინსკი ამბობს, რომ მე თვითონ ბევრჯელ მიცდია ცხოველებზე ნიკოტინის მოქმედებაო. ჯერ ცხოველი თითქოს ითრობოდაო; თუ ძალიან მოძრაობაში იყო, ხუთის წამის განმავლობაში მოძრაობა შეუსუსტდებოდა, დაიწყებდაო კვლაკნას, პირიდგან ქაფი წამოუვიდოდა, სულთქმის დროს ახრიალებდაო, ზოგს თვალის კაკლები დაუდიდდებოდაო, ზოგს დაუპატარავდებოდაო, განსაკუთრებით წინა და უკანა ფეხებს ანძრევდა ხოლმე და ბოლოს ოც ან ორმოცდა ათს წამს შემდეგ გაშეშდებოდაო. ძალიან ღონიერი ცხოველი უნდა ყოფილიყო, რომ რამდენსამე მინუტს გასძლებოდაო. მოწამლულს ცხოველებს ენა დაუსქდებოდათ, გვერდებზე გაუშავდებოდათ და შუაში ნაცრის ფრათ გაუხდებოდათო. ბევრს სხვა სახელოვანს დოქტურებსაც გამოუცდია და ისინიც ასე ამბობენ.

კაცზედაც შეუნიშნავთ ერთხელ ამისთანა სწრაფი მოწამლვა. ერთმა გრაფმა, სახელად ბოგარმემ, დაიჭირა გუსტავ ფუნნი და ძალათ ჩაასხა პირში რამდენიმე წვეთი ნიკოტინი. საცოდავი მოწამლული ხუთის მინუტის განმავლობაში მიიცვალა.

თამბაქოში მყოფი საწამლავი ნიკოტინი მოქმედებს პირდაპირ ტვინის ძაფებზე, რომელნიც არიან ტანში გაბნეულნი; მაგრამ განსაკუთრებით მძლავრი მოქმედება აქვს იმ ტვინის ნაწილზე, რომელიც აერთებს ხირხემლის ტვინს თავის ტვინთან ამ ნაწილს ტვინისას ეძახიან სიცოცხლის კავშირს, ამიტომ რომ ძალიან ცოტაც რომ ევნოს კაცს ამ ალაგას, მაშინვე მოკვდება.

ნიკოტინი ზოგს თამბაქოში ცოტაა და ზოგში ბევრი, მაგრამ საზოგადოთ შეუნიშნავთ, რომ ამერიკელ თამბაქოში უფრო ბევრია, ვიდრე სხვა ქვეყნებისაში.

თამბაქოს ხმარობენ სამ გვარათ: უფრო ბევრი სწევს ან პაპიროსებათ, ან სიგარათ და ან ჩიბუხით; მოხუცებულნი იყრიან ცხვირში ბურნუთად გაკეთებულსა და ზოგნი ღეჭვენ, როგორც კევსა იმ განზრახვით, რომ სურავანდისაგან თავი დაიცვან.

რომელნიც ჰკუით ბევრს შრომობენ, ისინი ამტკიცებენ, რომ თამბაქოს სწევა გონებას ამშვიდებსო და აზრს აძლევს ბეჯითს მსვლელობასო. მაგრამ საქმე ეს არის, ვინც მთელი დღე არას აკეთებს და ტყუილა ყოფნით მოწყენილია, ისიც ამტკიცებს, რომ თამბაქო ჯავრს ართმევს კაცსა და ქეიფს მოჰგვრისო. ვინც ბურნუთად ხმარობს თამბაქოს, ის იძახის, რომ მხედველობას უმატებსო. ან ერთს ვერ დაუჯერებს კაცი და ან მეორესა.

მოსაწევ თამბაქოს ქარხანებში აკეთებენ; რასში მდგომარეობს თამბაქოს კეთება?—იმასში, რომ კარგს სუნს მისცემენ, გააცლიან ბევრს ნიკოტინსა, რომელიც არის მავნებელი ნაწილი. თამბაქოში ზოგი იმისთანა ნივთიერებაა, რომ როცა იწვის, ცუდი სუნიანი კომლი ადის. ფაბრიკაში გარეცხით გააცლიან ამ ნივთიერებას და შემდეგ ფოთლებს ერთად დააგროვებენ, რომ ცოტათ მოლპეს და გახმეს. დანიშნულს დროს შემდეგ ფოთლები გადაირჩევა და მერე დაუწყებენ სხვა და სხვა ნივთიერებით შეკაზმას, რომელსაც ეტყვიან სოუსსა. აი, როგორ აკეთებენ ამ სოუსს: წყალში შეაზავებენ ერთად მარილს, ნიშადურს ჩაის, ყავას, ფრანც-ვეინს, ვანილს, საბურს, ლიმონის წვენს, მიხაკს და სხვ. ამისთანა სოუსში ან ამოავლებენ თამბაქოს ფოთლებსა, ან გარეცხენ იმითა; ამას შემდეგ თამბაქოს ჰყრიან ბოჭკებში, სადაც ის დაიწყებს

ფულილს; რამდენსამე ხანს შემდეგ თამბაქოს ამოიღებენ იქიდგან და სჭრიან წმინდათ, თუ რომ მოსასწევათ უნდათ, თუ არა და შეახვევენ და ციგარებათ აკეთებენ; სხვა და სხვა ქარხანებში სულ სხვა და სხვა რიგს სოუსს აკეთებენ; და ამის გამო სხვა და სხვა გემო და სუნი აქვს ხოლმე თამბაქოს.

ნიკოტინი გაეცლება პირველ დუღილზე ან ლობაზე და მეორეთ დუღილზე, როცა სოუსში ამოაელებენ ხოლმე ძალიან ბევრი ნიკოტინი სოუსს აქვს და ამისგამო ის იჭერს თამბაქოს სუნსა.

თამბაქოს მავნებელი მოქმედება ცხადათ შეინიშნება ხოლმე იმ მუშებზე, რომელნიცა თამბაქოს ქარხნებში მიდიან დასაქირავებლათ. როგორც კი დაიქირავებენ მუშას ქარხანაში, ის მაშინვე დაიწყებს უქეიფობას, აუტყდება თავბრუ, ხველა, გულის-რევა, პირიდგან სექვება, ნაწლევების ტკივილი და ზოგჯერ ფაღატათობაც. ამისთანა ნიშნები დიდხანს გასტანს და შემდეგ ან თან-და-თან აკლებს ან უმატებს. შესაძლებელია მუშას კუჭში ან ნაწლევებში და ან გულზე ანთება მოუვიდეს; ავთმყოფ სახეზედ მაშინვე შეატყობ თამბაქოს ქარხანაში ნამყოფს მუშასა. ამას გარდა ზოგს მუშას აუტყდება ხელფეხის თრთოლვა და მომეტებული თავის ტკივილი. ამისგამო საკვირველია, რომ მუშას ტვინის ძარღვი მოეძლება. ტვინის ძარღვის მოშლა უფრო სუსტის აგებულების მუშებს გამოაჩნდებათ ხოლმე და იმათ, რომელნიც უფრო მგრძნობიერნი არიან, მაგალ. ქალებს და ყმაწვილებს. ყველა ამ გვარი ავათმყოფობა იქიდგან წარმოსდგება, რომ თამბაქოს მავნებელი ნაწილი სისხლში გადადიან. თამბაქოს მუშაობის დროს, როდესაც ერთი ალაგიდგან მეორე ალაგზე გადააქვთ ხოლმე ფოთლები, ან როცა გაშლიან ხოლმე თამბაქოსა, მაშინ ჰაერში ძალიან წმინდა ნაფხვენი თამბაქოსი, რომელიც სცვივა თვალში და ტანის კანზე მუშებსა და სულთქმის დროს ჩაჰდის ფილტვებში; ნაფხვენის გამო მუშებს ხშირად თვალები დაუსივდებათ ხოლმე, და უფრო ხშირათ გამოაჩნდებათ ამ გვარი ავადმყოფობა, რომელნიც სატკბურიანი აგებულებისანი არიან. სხვა მუშებს თვალებზე ნაფხვენისგან ცრემლი სდის, თვალს აკლდებათ და ხშირად თვალები ეწვისთ.

ბევრნი სახელგანთქმულნი ექიმები ადევნებდნენ თვალს თამბაქოს ქარხანის მუშებსა და ყველანი ამ აზრისანი არიან, რომ თამბაქოს კეთება ვნებას აძლევს მუშებს და ზემოთ რომ ნიშნები მოვთვალეთ, ისინი ძალიან ხშირად აჩნდებათ იმათ.

## მრავალ-გვარი ამბავი.

### რუსეთის ამბავი

**სოფლის სასამართლოებისათვის მოსამზადებელი მწერლების შკოლა.** ოსტროგის ქალაქში გაუმართავსთ საგლეხო შკოლა, სადაც გლეხის შვილებს უნდა ასწავლონ ისე, რომ ისინი გამოდგნენ კარგი მწერლები სასოფლო სასამართლოებისათვის. პირველად სოფლის მოხელეებს მოუვიდათ ფიქრში ამისთანა შკოლის გახსნა. ადგილობრივმა მასწავლებლებმა და მიროვის პოსრედნიკებმა დიდის თანაგრძნობით მიიღეს ეს აზრი. ოლქმა სასოფლო სასამართლომ გადასწყვიტა თავის შორის, რომ თითოეულმა იმათგანმა უნდა გაგზავნოს თავის ხარჯზე სასწავლებელათ თითო ყმაწვილი. ისინი ჯერ სასოფლო შკოლებში უნდა სწავლობდნენ და მერე უეზდის სასწავლებელში უნდა დაასრულონ სწავლა. ამას შემდეგ ყოველი ყმაწვილი მწერლათ უნდა ემსახუროს სოფელს ექვს წელიწადს. გლეხებმა ისურვეს, რომ იმათ შვილებს გლეხური ტანთ-საცმელი ეცვასთ და გლეხური საჭმელ-სასმელი, რომ გლეხურათ ცხოვრებას არ გადაეჩვიონო. ეს ყმაწვილები იმყოფებიან ახლა სასოფლო შკოლის მასწავლებელთან, რომელმაც ითავა იმათ გამზადება სასოფლო შკოლისთვის და შემდეგ, როცა უეზდის სასწავლებელში გადავლენ, იქ ყურის გდებაცა. ისინი რომ ნახოთ გაიგებთ: რაც შეიძლება სუფთათ ცხოვრობენ, იმისთანა კარგი სასმელ-საჭმელი აქვთ, რაც გლეხობაშია შესაფერისი. ამასთანავე ოთხშაბათ-პარასკევობით სახსნილოს არას აჭმევენ. თუმცა მასწავლებლის სადგომში ამ ჟამათ ცოტა ვიწროთ არიან, მაგრამ იმედია, რომ ოსტროგის უეზდის გლეხობა მალე უშოვნის თავის შვილებს საშკოლე სახლსა. გლეხები ფულს აგროვებენ სახლის საყიდლათ.

**ფოთის პორტის აგებაზე.** „ნიკოლაევის უწყებაში“ სწერენ: „ამ დღეებში ფოთსნამყოფი კაცები ამბობენ, რომ ფოთის პორტის კეთება რომ ცოტათ შეჩერებული იყო, ახლა ისევ განაგრძესო. აშენებენ იმისთანა ქარხანას სადაც წყლის კირი უნდა ამოზიდონო. (წყლის კირი იმისთანაა, რომ წყალში მალე მაგრდება და ქვასავით გადაიქცევა). ამ შენობის ხელსაწყოს მოელიან ანგლიიდგან. ფოთის პორტის მკეთებელი ინჟინერ პოლკოვნიკი შაროვი დაბრუნდა საზღვარს გარეთიდგან და ხელ-ახალის სიმხნით და ხალისით შეუდგა პორტის კეთებას. ხასიამოვნოა, რომ სხვა მადნეულობის სიმდიდრეს შორის ჩვენს ქვეყანაში ნახეს შავისზღვის პირათ გამოულეველი წყლის კირის საკეთებელი მასალა. ამ ჭაობიანს ადგილებში, საცა მეტის მეტი ნოტიობისაგამო ხის სახლებში ხალხი ციებ-ცხელებით იხოცებოდა აქამდის, მეტად დიდი საქმეა წყლის კირის კეთების დაწყება, ამიტომ რომ იმითი და რიყის ქვით შეიძლება ძალიან კარგი, მაგარი და მშრალი სახლების კეთება მოიწყონ; ამის გამო ხაშმიან ხის სახლების შენება თან და თან გადავარდება და ხალხის სიმრთელე ერთი ორათ იმატებს. ამ ჟამად წყლის კირი უნდა აკეთონ პორტისათვის წყალში სვეტების ამოსაყვანათ, რომ ამის შემწეობით რიონში გემების შემოსასვლელი გაკეთდეს. თუ არ დააგდეს ამ საქმეს ბოლო მიეცემაო“.

### ერიდეთ როსკიპს, იმან დაღუპა ალფონსი.

(მოკლე ნამდვილი მოთხრობა).

იყო ერთი ახალგაზდა ალფონსი შეძლებულის დედ-მამის შვილი. იმან დაიწყო ვაჭრობა, რომ მალე გამდიდრებულიყო. პარიჟის საუკეთესო მაგაზინში გახდა პრიკაშჩიკათ და თავის კარგის ზნისათვის და საქმიანობისათვის ამხანაგებიც პატივსა სცემდნენ და ხელქვეითნიცა.

ერთს ქეიფიანს სადილს შემდეგ მეგობრებმა გაიტყუეს ისა საროსკიპოში. მაგრამ ვაი იმის უბედურებას! იქიდგან გამოიყოლა ასეთი ავათმყოფობა, რომელმანაც მოწამლა საწყალი ალფონსის სიცოცხლე.

მაშინვე გაიქცა ექიმთან და ისიც, რასაკვირველია, დაჰპირდა მალე მორჩენას; ორის თვის განმავლობაში წამლობდა, მაგრამ მორჩენის მაგიერათ, ავთმყოფობა უფრო გაუძნელდა; რწყვილები დაუსივდა, თმა სულ მაჭა-მუჭათ სცვიოდა და ტანზე მუწუკები დაჰყარა . . . . ექიმობამ ვერა გაწყორა. რამდენისამე თვის შემდეგ ფეხის ძვლებზე კუნძები გამოუვიდა. ძვლები სულ დასცვივდა და

ისე ეწყევნ ფესვებით კბილის ბუდეში, თავი სულ მოეტიტვლა. საწყალმა ალფონსმა არ იცოდა, რა ექმნა . . . ბოლოს ერთმა მეგობარმა მიიყვანა ერთ სახელ განთქმულ ექიმთან. ამ განთქმულმა დოქტორმა პირდაპირ განუცხადა იმისი საშიშო მდგომარეობა.

იმან ახედ-დახედა და უთხრა.—თქვენ, ჩემო მეგობარო, ძალიან გვიან გიფიქრებიათ ჩემთან მოსვლა. მაგრამ თუ ბეჯითად აასრულებ ჩემს დარიგებას და რჩევას ექიმობის დროს, იმედი მაქვს მაინც მოგარჩენთ, თუმცა დიდხანს გასტანს თქვენი ავათმყოფობა.

თვრამეტს თვეს გასტანა ექიმობამ და ბოლოს ალფონსს ეგონა, რომ განთავისუფლდა ამ საშინელის სენისაგან.

ამასობაში ალფონსმა ნახა ერთი თავის ხასიათის ქალი და შეიყვარა; მაგრამ ვიდრე დოქტორს არ დაეკითხებოდა ვერ გაებედნა ჯვარის დაწერა. იმან უთხრა დოქტორსა ხომ იჭვი აღარა არისრა, რომ ქალი შევირთოვო, რადგან აქამდის აგრე ბეჯითად აასრულეთ ჩემი დარიგება, აწცა, მეტი ღონე აღარა გაქვთ, ორი წლის განმავლობამდის უნდა გადასდვათ თქვენი ქორწილიო—უთხრა დოქტორმა.—თავ მოყვარე ნუ იქნებით, მოიფიქრეთ, შთამომავლობისთვისაც უნდა გეშინოდესთ, რომ შვილებს არ გადაედვას მემკვიდრეობით თქვენი ავათმყოფობა.

ალფონსი ათრთოლდა და ფერი ეცვალა ამა სიტყვებზე; მეტი რა ღონე ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა დოქტორის რჩევას და ორის წლის განმავლობაში ჯვარი არ დაუწერია თავის სიყვარულზე.

პირველი იმის შვილი ორ წლამდის კარგათ იზრდებოდა. მაგრამ მესამე წელიწადს, უეცრათ გამოება თვალზე იმგვარი მუწუკი, როგორიც მამას ჰქონდა ავათმყოფობაში, თვალზე მოურჩინეს, მაგრამ შემდეგ ყურზე გამოაჩნდა, მერე პირშიაც გამოება; ეს საწყალი პატარა ყმაწვილო მაშინვე დავარდა, თუმცა დიდათ უვლიდნენ.

მეორე ყმაწვილიც ამისთანა სენით იყო შეპყრობილი. საწყალს მამას გული გაუსქდა და გადასწყვიტა, რომ შვილი აღარ მიეცეს: ის ვერ იტანდა თავის შვილების ტანჯვას თავის ყმაწვილობის ცოდვისაგან.

საწყალი ალფონსი იმ სახით დაისაჯა. იმისი ბეჯითი ზნე არ აძლევდა შვილების ყოლის ნებას, რომ შემდეგ იმათ ცუდათ არ ეხსენებინათ თავიანთი მამა. ალფონსმა დაიწყო მწუხარება და სწყევლიდა იმ ბედ-შავს დღეს, როცა ამხანაგებმა გაიტაცეს საწყალი დაწყევლილს სადგომში. ამ მწუხარებისაგან იმას თან-და-თან გული ეხშობოდა, საზოგადოებაში სიარულს ერიდებოდა და ჩუმათ სტიროდა თავის ბედკრულს მდგომარეობას. ამ მაგალითმა წინათვე ღრმად უნდა ჩააფიქროს, მკითხველო, მინამ როსკიპთან საქმეს დაიჭერდეს.

---

# განცხადება

## „სასოფლო გაზეთის“ გამოცემაზე

### 1869 წელში.

მომავალს 1869 წელს „სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც ამ წელს იცემება

---

**ხელმოსაწერი ფასი:**

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში ერთი წლისა ოთხი მანეთი; გაუგზავნელათ სამი მანეთი;

სასოფლო სასამართლოებისათვის გაგზავნით სამი მანეთი. ნახევარი წლისა გაგზავნით ორი მანეთი; გაუგზავნელათ ერთი მანეთი და ათი შაური ერთი ნომერი ორი შაური.

„სასოფლო გაზეთი“ გამოიცემა ორ კვირაში ერთხელ ხუთშაფათობით.

---

ხელი მოიწერება.

ტფილისში „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ контору Редакціи „Сельск. Газеты“ при Типографіи Меликова. и Ко.**

ამასთანავე იბეჭდება თვითონ გაზეთის პროგრამმაცა.

---

# პროგრამმა

## „სასოფლო გაზეთისა“

„სასოფლო გაზეთში“ იქნება შემდეგი ნაწილები.

I ოფიციალური ნაწილი:

მთავრობის განკარგულება, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიცა სასოფლო სამმართველოთა უნდა აღასრულონ.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა აცნობონ სასოფლო სამმართველოთა, რომ იმათ ხელისამძღვანელათ შეიქმნან.

II. არა-ოფიციალური ნაწილი:

1. **სამეურნეო ცნობანი:** ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა-და-სხვა სამეურნეო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას, პირუტყვის მოშენებას და სხვ.; სასოფლო ვაჭრობის, ალებ-მიცემობის და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. **სახალხო მედიცინა (მკურნალობა):** აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა და სხვა ავათმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უექიმოთაც შეეძლოს ზოგიერთ ავათმყოფობის მორჩენა.

3. **ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე:** აქ დაიბეჭდება ამბები, თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე; აგრეთვე კორრესპონდენციები, და მოთხრობა სოფლის ხალხის ცხოვრებიდგან.

4. **სხვა და სხვა ცნობა:** წვრილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელთაც ექმნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდ-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. **სახაზინო და კერძოობითი განცხადება.**

რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го сентября, 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.